585
1963/3

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 29 (226) 19 ოქტომბერი 1963 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნაწილი I

განყოფილება პირველი

433. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის საკითხებზე სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

434. დებულება „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაწესებული მედლის შესახებ.

განყოფილება მეორე

435. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. დ. ხიტროვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

436. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

437. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ფ. ზ. ზაგაფურანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

438. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. ა. მარკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

439. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ნ. პიალიას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

440. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. დ. სტასოვას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

441. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გურჯაანის ოლქის ვეჯინის № 168 საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატის ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების დღის შესახებ.

9049

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

442. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ნ. გიორხელიძისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

443. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. მ. ჯიბლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

444. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივ კომისიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

განყოფილება პირველი

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

433 ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის საკითხებზე სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ჩაითვალოს ძალადაკარგულად სსრ კავშირის შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

1. სსრ კავშირის ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 13 ივნისის დადგენილება „მუშათა ბინების მშენებლობაზე გაცემული სესხების პროცენტების შესატანის პირვანდელი ვადის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ. 1930 წელი, № 33, მუხ. 356).

2. სსრ კავშირის ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 4 მარტის დადგენილება „მუშათა ბინების მშენებლობის დაკრედიტებისათვის ადგილობრივი კაპიტალების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 15 მუხ. 146).

3. „ქალაქებში საბინაო ფონდის დაცვისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილების მეოთხე მუხლის მეორე აბზაცი და 7 მუხლი (სსრ კავშირის კან. კრ., 1937 წელი, № 69, მუხ. 314).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 10 ოქტომბერი.
№ 1765-VI.

დ ე გ უ ლ ე ბ ა

434 „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაწესებული მედლის შესახებ

(დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 12 ოქტომბრის გრძანებულებით)

1. მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ ჯილდოვდებიან:

მილიციის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სხვა ორგანოების რიგითი, უფროსთა და დანარჩენი პირადი შემადგენლობა, მოკავშირე რესპუბლიკების

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროების შინაგანი ჯარების, შინაგანი და საბადრაგო დაცვის რიგითი, სერჟანტთა და ოფიცერთა შემადგენლობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და სისხლის სამართლის დანაშაულებრიობასთან ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და დამსახურებისათვის;

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების წევრები და სხვა მოქალაქენი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისა და ამასთან გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირულებისათვის.

2. მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით აჯილდოებენ მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები.

3. მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ ჯილდოვდებიან:

დანაშაულებრივი ჯგუფების ლიკვიდაციისა ან სისხლის სამართლის დამნაშავეთა დაკავებისას გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირულებისათვის;

სისხლის სამართლის მოსალოდნელ დანაშაულებათა თავიდან აცილებისა ან ჩადენილ დანაშაულებათა გახსნის დროს გაბედული, უნარიანი მოქმედებისათვის;

დანაშაულებრივ გამოვლინებათა ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად აქტიური მუშაობისათვის;

საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად და სისხლის სამართლის დანაშაულებრიობასთან საბრძოლველად საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოთა, შინაგანი და საბადრაგო დაცვისა და შინაგანი ჯარების ნაწილებისა და ქვეგანაყოფთა მუშაობის უნარიანი ორგანიზაციისათვის;

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებში, შინაგანი ჯარების, შინაგანი და საბადრაგო დაცვის ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში სამსახურის უმწიკვლოდ შესრულებისათვის;

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისა და ამ დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირულებისათვის, აქტიური ბრძოლისათვის ხულიგნობასთან, ლოთობასთან, სოციალისტური და მოქალაქეთა პირადი საკუთრების დატაცებასთან, საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევებთან, სპეკულაციასთან, არყის შინ გამოხდასთან და სხვა სამართალდარღვევებთან, რომელნიც ზიანს აყენებენ საზოგადოებას.

4. მედალს „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ ატარებენ მკერდის მარცხენა მხარეს, ხოლო სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების ტარების დროს მას ათავსებენ მედლის „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში წარჩინებისათვის“ შემდეგ.

5. მედალი „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ იმ პირებისა, რომლებიც დაიღუპნენ სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან გარდაიცვალნენ გადაეცემა დაჯილდოებულთა ოჯახებს მედლის მოწმობასთან ერთად და ინახება მათთან როგორც სახსოვარი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

435 ამხ. მ. დ. ხიტროვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მშრომელთა დეპუტატების ბელგოროდის საოლქო (სასოფლო) საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მიხეილ დიმიტრის ძე **ხიტროვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 8 ოქტომბერი.
№ 1746-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

436 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათ-ათი შვილი:

1. ალავნიკ პეტროსის ასულ **დეპელიანს** — კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფელი ვლადიმიროვკა.
2. ბედიშე ტიმოთეს ასულ **კვარაცხელიას** — ბარათაშვილის სახ. კოლმეურნეობის წევრს, ზუგდიდის რაიონი.
3. ლენა ჯარმას ასულ **მაქაცარიას** — ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის წევრს, ზუგდიდის რაიონი.
4. ხუტა ამბაკოს ასულ **ქირიას** — დიასახლისს, ზუგდიდის რაიონის სოფელი ოქტომბერი.
5. ფეოდოსია ხასანის ასულ **ჩოლარიას** — რუსთაველის სახ. კოლმეურნეობის წევრს, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 10 ოქტომბერი.
№ 1752-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

437 **ამხ. ფ. ზ. ზაგაფურანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ბაშკირეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ფაიზრახმან ზაგაფურანის ძე **ზაგაფურანოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 12 ოქტომბერი.
№ 1774-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

438 **სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. ა. მარკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

მათემატიკური მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ანდრია ანდრიას ძე **მარკოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 14 ოქტომბერი.
№ 17751-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

439 **ამხ. ე. ნ. პიალიას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

მრავალი წლის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ედუარდ ნიკოლოზის ძე **პიალია** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 15 ოქტომბერი.
№ 1776-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

440 ამხ. ე. დ. სტასოვას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცდაათ წელთან დაკავშირებით ამხ. ელენე დიმიტრის ასული **სტასოვა** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 14 ოქტომბერი.
№ 1777-VI.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

441 გურჯაანის რაიონის ვეჯინის № 168 საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატის ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების დღის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 99 მუხლის შესაბამისად დაინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები, ნაცვლად გასული დეპუტატისა, გურჯაანის რაიონის ვეჯინის № 168 საარჩევნო ოლქში 1963 წლის 24 ნოემბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1963 წლის 10 ოქტომბერი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

442 ამხ. ე. ნ. გიორხელიძისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

თბილისის მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ეკატერინე ნიკოლოზის ასულ **გიორხე-**

ლიძეს მიენიჭოს საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1963 წლის 10 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

443 ამხ. ნ. მ. ჯიბლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის ორგანიზაციული მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. ნიკოლოზ მელიქსედის ძე ჯიბლაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1963 წლის 10 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

444 თბილისის მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისის მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. თამარ ალექსანდრეს ასული **ბეროშვილი**—პარკის ბიბლიოთეკის გამგე;
2. ნინო ლუკას ასული **ლობჟანიძე** — პარკის აგრონომი;
3. სერგო ამბაკოს ძე **მელაძე** — პარკის დირექტორი;
4. მარიამ სტეფანეს ასული **ხარიტონაშვილი**—პარკის მეტყევე-ინჟინერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1963 წლის 10 ოქტომბერი.

№ 29 (220)

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივ კომისიაში

ამ დღეებში შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის სხდომა. კომისიამ განიხილა საკითხი სოფლად კინომომსახურების შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში. მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ბუაჩიძემ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა ს. დოლიძემ, ა. ბატიაშვილმა, ქ. ნადირაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს უფროსმა ს. ხონელიძემ, ახალქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ უ. კაზარიანმა.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ამხილეს რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონების სოფლებში კინომომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

კომისიამ მიიღო დადგენილება საკითხი განსახილველად შეიტანოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.